

წლევიანდელ ზაფხულს ხელისუფლების მოქმედება უფრო აგრესიული იყო, რადგან ოპოზიციასთან ბრძოლა ყველა ფრონტზე მოიგო

InterPressNews 13:54 22-08-2011



მიმდინარე ზაფხულში ხელისუფლების მიერ ყველა სფეროში გადადგმული ნაბიჯების სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებზე, "ინტერპრესნიუსი" ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, ლადო პაპავას ესაუბრა.

- ბატონო ლადო, ფაქტია, რომ წლევიანდელ ზაფხულს ხელისუფლების აქტიურობა ტრადიციულზე მეტად საგრძნობი აღმოჩნდა. ხელისუფლებამ თითქმის ყველა სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. თქვენთან საუბრის

დაწყება სოციალურ სფეროში უკვე განხორციელებულ ცვლილებებზე ვარჩიეთ. ჯერ იყო და ხელისუფლებამ ელექტროენერჯის გადასახდელზე დასუფთავების გადასახდელის მიზმით გაგვაცა, შემდეგ მგზავრობის საფასურის საგრძნობი გაძვირებით "გაგვახარა", ამას მოჰყვა მუნიციპალურ ზაგა-ზაღებში გადასახდელის დაწესება, რემონტის დაწყებისა და ფანჯრის გამოცვლაზეც კი მერიიდან ნებართვის აღება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ჯარიმა.

თქვენ როგორ შეაფასებდით ხელისუფლების სოციალურ სფეროში გადადგმულ ნაბიჯებს? მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერი ერთად მოქალაქეების ისედაც მძიმე სოციალურ ყოფას კიდევ უფრო დაამძიმებს...

- სიტუაცია ასეთია – პრაქტიკულად ყველა ტიპის გადასახდელი გაზრდილია. გადასახდელების ზრდა შეიძლება შემდეგი რამით აიხსნას - ქვეყანაში ინფლაციის მაღალი დონეა, სულ ტყუილად ტრამპოზს პრემიერ-მინისტრი, რომ ინფლაციის მოთოკვა ხდება. თუ ინფლაცია მცირდება, მაშინ გაუგებარია, რატომ ზრდიან გადასახდელებს. თუ ეს ინფლაციის გამოა, მაშინ უნდა გვახსოვდეს, რომ გადასახდელების ზრდა, თავის მხრივ, ასევე ხელს უწყობს ინფლაციის შემდგომ ამალვებას. პრობლემა იმაშია, რომ რეალურად ხელისუფლება ყველა სფეროს საკუთარ შემოსავლებზე გადაყვანას და ბიუჯეტის სახსრების გამოთავისუფლებას ცდილობს. ხელისუფლება ამას იმ მიზნით აკეთებს, რომ შემდგომ ეს სახსრები ჯერ საპარლამენტო, ხოლო შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოიყენოს.

ხდება არა მარტო გადასახდელების ზრდა, არამედ ახალი გადასახდელების დაწესებაც. ამის კარგი მაგალითია ფანჯრის გამოცვლაზეც ნებართვის დაწესება. მართალია ითქვა, რომ ამ შემთხვევაში ნებართვაზე გადასახდელი არ წესდება, მაგრამ იქ იმდენად რთული პროცედურებია, რომ თითოეულ მოქალაქეს დასჭირდება სპეციალისტების მომსახურება, რომელთა მისამართს რემონტის მსურველ მოქალაქეს ქალაქის მერია მისცემს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ საქმიანობიდან მერიასთან დაახლოებული ბიზნესი დამატებით

შემოსავალს მიიღებს. ზაფხულში გადასახდელების გაზრდა და ახალი გადასახდელების დაწესება იმის გამო ხდება, რომ ამის გაკეთება წელიწადის ამ დროს შედარებით ადვილია, ხალხი დასასვენებლად გასული და პოლიტიკური აქტიურობაც გაცილებით დაბალია. ზაფხული ახალი გადასახდელების დასაწესებლად და არსებულის გასაზრდელად იდეალური პერიოდია.

- ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ფოტორეპორტიორები სულ რაღაც რამოდენიმე დღის გათავისუფლებული იყვნენ, რომ ხელისუფლებამ ტელენაშის მართვის უფლება გაასხვისა. ეჭვი არავის ეპარება, რომ ახალი მეპატრონე მედიის დამოუკიდებელ საშუალებებს ფინანსურ პრობლემებს შეუქმნის. პრაქტიკულად დაფინანსების გარეშე დარჩნენ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, დემოგრაფიისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტები. განათლების სფეროს ექსპერტთა მტკიცებით, 2004-2011 წლებში დახურულ 1100-ზე მეტ სკოლას, წელს კიდევ 50-მდე საჯარო სკოლის შენობების კერძო სკოლებისათვის გადაცემა დაემატა. უცხო ენების სწავლების წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ ფსიქოლოგებისა და პედაგოგების სპეციალიტთა პროტესტების მიუხედავად, ინგლისური ენის სწავლებას წლებგანდელი პირველკლასელები სექტემბრიდან დაიწყებენ. მიუზიკლ "ქეთო და კოტეს" ბათუმის სცენაზე განხორციელებული დადგმა ლამის ახალ ესთეტიკად გამოცხადდა. კულტურის მინისტრის ბრძანებით, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან გათავისუფლდა რობერტ სტურუა. როგორ შეაფასებდით, ხელისუფლების მიერ მედიის, განათლებისა და კულტურის სფეროებში გადადმულ ნაბიჯებს?

- ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებებს ის, თუ რა გაკეთდა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში, რომელშიც პრაქტიკულად რამდენიმე წამყვანი ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება გაუქმდა. გაუგებარია, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქვეყანაში რატომ არ უნდა იყოს ფილოსოფიის ინსტიტუტი? არანაკლებ გაცეხას იწვევს ის, რომ დიმიტრი უზნაძის ქვეყანაში, რომელმაც "განწყობის თეორია" შექმნა და, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ კლასიკურ მიმართულებად ითვლება, ფსიქოლოგიის ინსტიტუტს ხურავენ. აღარაფერს ვამბობ დემოგრაფიის ინსტიტუტის გაუქმებაზე. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები საერთოდ არ აწუხებს. ეს არა უბრალოდ შეცდომაა, არამედ დანაშაულია. წელს 70 წელი შეუსრულდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საზეიმო ღონისძიების ჩატარების თაობაზე. საზეიმო ღონისძიებები სექტემბრის დასაწყისისთვის იყო დაგეგმილი, შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარლამენტის თავმჯდომარე, გამოიყო ფული. მოულოდნელად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საზეიმო ღონისძიებების გადავადების შესახებ. ეს მაშინ, როცა რვა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტებმა მიიღეს მოწვევა და გამოთქვეს მზადყოფნა თბილისში ჩამოსასვლელად. ახლა მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობას უხდება მათთან იმის გამო მოზოდინება, რომ საზეიმო ღონისძიებების ჩატარება გადავადებულია. პრაქტიკულად თავი მოეჭრა არა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, არამედ - საქართველოს სახელმწიფოს.

მიმდინარე ზაფხულში მნიშვნელოვანი საკითხი იყო ფოტორეპორტიორების საქმე. ამ თემაზე ძალიან ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. თუ ისინი მართლა ჯაშუშები იყვნენ, მაშინ მათთვის პირობითი სასჯელის

გამოტანა გაუგებარია...

რაც შეეხებათ სკოლებს. საქართველოს მთავრობას მკაფიოდ არ აქვს წარმოდგენილი ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყანაში სასკოლო განათლება. რამდენიმე საჯარო სკოლა გადაკეთდა კერძო სკოლად, როგორი იქნება მათი დაფინანსება, ჯერაც არ არის ცნობილი. რა თქმა უნდა, მოხარული ვარ, რომ ბათუმის სცენაზე "ქეთო და კოტეს" ახალი ვერსია დაიდგა, მაგრამ შეცდომაა იმის მტკიცება, რომ ამ წარმოდგენით იწყება ქართული კულტურის აღორძინება.

გულდასაწყვეტია ის, რაც რობერტ სტურუასთან დაკავშირებით ხდება. ნამდვილად არ ვიზიარებ და ვერ გავამართლებ ბატონ რობერტის იმ გამონათქვამს, რომ სააკაშვილის მიერ დაშვებული შეცდომების მიზეზი თითქოს მისი სომხობაა. იმავდროულად, ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ ეს გამონათქვამი ქსენოფობიურია, ხოლო ამ არარსებული მიზეზით ბატონ რობერტის სამსახურიდან გათავისუფლება დანაშაულია. რობერტ სტურუას მიმართ უდიდესი შეცდომა იქნა დაშვებული. მან თავისი შემოქმედებით არა ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის ქსენოფობიის თემა უცხოა... ხოლო ის, რომ იგი მსოფლიოს მასშტაბით უდიდესი შემოქმედია, დიდი ხანია, იცის როგორც საქართველომ, ისე მსოფლიოს არა ერთმა ქვეყანამ, სადაც თეატრალური ხელოვნების დიდი გამოცდილება აქვთ. თუ სტურუას, როგორც შემოქმედს, საქართველო დაკარგავს და სამუშაოდ სხვა ქვეყანაში გადავა, ეს ქართული კულტურისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება. ამას ვერც ერთი ფარტომასშტაბიანი კონცერტი ვერ უშველის, თუნდაც ამ კონცერტებში მსოფლიო სახელის მქონე არტისტებმა მიიღონ მონაწილეობა.

ტელეანძას რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ მთავრობა ტრადიციას ინარჩუნებს და პრივატიზაციის გამოცხადებამდე ერთი კვირით შექმნილ ფირმას ამარჯვებინებს საპრივატიზაციო კონკურსში. ეს ქმედება სულაც არ არის ახალი. ასეთ ვითარებაში, ანძის მომავალთან დაკავშირებით არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რის შესახებაც არაერთხელ დააფიქსირეს თავისი აზრი ჟურნალისტებმა და მედიაექსპერტებმა.

- ჯერ იყო და ხელისუფლებამ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ოპოზიციურ პარტიათა ნაწილთან შეთანხმება გააფორმა, "რვიანიდან" "ექვსიანად" ქვეულმა ოპოზიციამ მომხდარი კი გააპროტესტა, მაგრამ უშედეგოდ. საპატრიარქოსთან დაპირისპირების ფონზე რელიგიების შესახებ კანონი დაჩქარებული წესით იქნა მიღებული. შარშანდელის მსგავსად, წელსაც გაგრძელდა კანონმდებლობის უბეში დარღვევით დევნილთა კომპაქტური დასახლების შენობებიდან გამოსახლება, თბილისის საქალაქო სასამართლომ 5,5 წლით თავისუფლება მიუსაჯა ბადრი ბიძაწეს. როგორ შეაფასებდით ხელისუფლების მიერ შიდაპოლიტიკაში გადადგმულ ნაბიჯებს?

- "რვიანი" რომ "ექვსიანად" გადაკეთდა, ამაში მე ცუდს არაფერს ვხედავ. რაც უფრო გამოიკვეთება რეალური ოპოზიცია, ქვეყნისთვის უკეთესია. რაც გააკეთეს "რვიანში" მყოფმა "ქრისტიან-დემოკრატებმა", ეს სავსებით მოსალოდნელი იყო, მაგრამ აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ის ნაბიჯი, რომელიც "ახალმა მემარჯვენებმა" გადადგეს. ვფიქრობ, მათ თავიანთი არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვეს. სულაც არ გამოვრიცხავ, რომ "ახლები" მომავალი პარლამენტის გარეთ აღმოჩნდნენ. ახლა, სამწუხაროდ, ისინი არავის სჭირდება... ისინი არ სჭირდებათ არც "ნაციონალურ მოძრაობას" და არც "ქრისტიან-დემოკრატებს". "ახლები"

რომ "რვიანში" დარჩენილიყვნენ და ახლა "შვიდიანი" ყოფილიყო, ეს გაცილებით უკეთესი იქნებოდა. გული მწყდება, ჩემთვის ერთ დროს სიმპატიურმა "მემარჯვენეებმა", შეცდომა რომ დაუშვეს.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება კარგა ხანია, არსებობს, მაგრამ ეს საჯაროდ გაცხადებული არ იყო. სამწუხაროა, რომ თავად საპატრიარქოში არ არის ერთიანობა, რაც საპატრიარქოს ასუსტებს. ცუდია, რომ ჩვენი პატრიარქის შეგონება არ არის გაზიარებული არა მარტო ხელისუფლების მიერ...

ბადრი ბიწაძესთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ნამდვილად ვერაფერს ვერ ვიტყვი, ვინაიდან ამ სფეროს სპეციალისტი არა ვარ. "სახალხო კრების" ინიციატივით მისში გამართულ აქციებთან დაკავშირებით ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება არა ერთხელ დამიფიქსირებია. აქციის მონაწილეთა დარბევაზე ჩემი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებაზეც არა ერთხელ მისაუბრია. მაგრამ, ერთი რამე მაინც უნდა ითქვას, როდესაც სასამართლო ხელისუფლება მთავრობისა და პროკურატურის მიერ სრულად კონტროლირებადია და სასამართლო ხშირად იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბადრი ბიწაძის წინააღმდეგაც სასამართლომ პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენი გამოიტანა.

- ტურისტულ სფეროში გარკვეული წარმატებები კი იკვეთება, მაგრამ აშკარაა, რომ მსოფლიოში ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ხელისუფლება ჩქარობს, დაგვარწმუნოს, თითქოს საქართველო ტურისტულ მექად უკვე იქცა. პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ ინფლაცია შუა ზაფხულში 8,5%-მდე დაეცა. მისივე განცხადებით, საქართველო საერთაშორისო ბირჟებზე "საქართველოს რკინიგზის", "სახელმწიფო ელექტროსისტემისა" და "ნავთობისა და გაზის კორპორაციის" მინორიტალური პაკეტის გატანას გეგმავს. რა საფრთხეების შემცველია საერთაშორისო ბირჟაზე ამ კომპანიების მინორიტალური აქციების გატანა?

- რაც შეეხება ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას. ნამდვილად ვერ გავიზიარებ პრემიერ-მინისტრის ოპტიმიზმს ინფლაციის შემცირებასთან დაკავშირებით. ზემოთ უკვე ვისაუბრე, რომ თბილისის მერიის მიერ ახალი გადასახდელების მოგონება, ძველის გაზრდა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაძვირება აუცილებლად იმოქმედებს ინფლაციის შემდგომ ზრდაზე. ტურისტების რიცხვის ზრდა თავისთავად კარგია, მაგრამ როცა ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ჩავარდნილია, ტურისტების სიმრავლე პროდუქტებზე ფასებს ზრდის, რაც ასევე ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს.

რაც შეეხება სტრატეგიული ობიექტების გასხვისების თემას, თუნდაც ეს იყოს აქციების 25%-ის ბირჟაზე გატანა, ეს რა თქმა უნდა, საფრთხის შემცველია. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის სახელზე ძალიან კარგი ღია წერილი დაწერა ირაკლი ალასანიამ. პრაქტიკულად იგი ყველა მწვავე საკითხს შეეხო. აქ რამდენიმე თემაა. ჩვენ ვხედავთ, რომ საფონდო ბირჟებზე არასტაბილური ვითარებაა. ასეთ ვითარებაში ფასიანი ქაღალდების გატანა უფრო მეტი რისკების შემცველია, ვიდრე ეს ნორმალურ ვითარებაში. ჩვენ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სტრატეგიული ობიექტების მყიდველი ნაკლებად იქნება რომელიმე განვითარებული სახელმწიფო. სტრატეგიულ ობიექტებში, უწინარეს ყოვლისა, დაინტერესებული არიან ჩვენი მეზობლები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაზსადენის ყიდვა უნდოდა რუსულ "გაზპრომს", შემდეგ გამოჩნდა აზერბაიჯანული

კომპანია "სოკარი". "სოკარი" ჩვენთვის უფრო მისაღებია, ვინაიდან "გაზპრომი" მტრული სახელმწიფოს კომპანიაა, მაგრამ იმავდროულად უნდა ვიცოდეთ, რომ "სოკარისთვის" რაღაც ფორმით მილსადენების გადაცემების შესაძლებლობა ქვეყანას საფრთხეს უქმნის. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს აზერბაიჯანულმა მხარემ სომხეთის წინააღმდეგ ენერგეტიკული ბლოკადისთვის გამოიყენოს. ეს კი, პრაქტიკულად, აზერბაიჯანულ-სომხური კონფლიქტის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანას ნიშნავს. გასაგებია, რომ საუბარია აქციების 25%-ზე და არა - საკონტროლო პაკეტზე, მაგრამ აქ მთავარია პრინციპი. თუ მინორიტალური აქციების გაყიდვაა შესაძლებელი, მას შემდეგ რაც "ბოთლიდან ჯინი გამოშვებული" იქნება, ამის შემდეგ შემდგომი ნაბიჯების გათვლა პრაქტიკულად ძნელია. როდესაც 2010 წელს მთავრობამ მაგისტრალური გაზსადენი ამოიღო გასაყიდი ობიექტების სიიდან, ითქვა, რომ ამ ობიექტის გაყიდვას ხელისუფლება არ აპირებდა. წელიწადნახევრის შემდეგ გამოჩნდა, რომ მისი გაყიდვის შესაძლებლობა გაჩენილია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სომხეთის რკინიგზას სრულად აკონტროლებს "რუსეთის რკინიგზა." რუსულმა მხარემ მას სახელწოდებაც კი შეუცვალა და "სამხრეთ კავკასიის რკინიგზა" დაარქვა. წარმოუდგენელია, რომ სამხრეთ კავკასიის რკინიგზის ერთ, სომხეთის მონაკვეთს "სამხრეთ კავკასიის რკინიგზა" ერქვას. ამ სახელის დარქმევით რუსეთს არ დაუმალავს ამბიცია და პრეტენზია, რომ მთლიანად გააკონტროლოს სამხრეთ კავკასიის რკინიგზა. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ "საქართველოს რკინიგზის" ფასიან ქალაქებს ბირჟაზე გავიტანთ, უნდა ვიცოდეთ, რომ მისი აქციებით "რუსული რკინიგზა" ან თუნდაც მისი შვილობილი სომხური კომპანია დაინტერესდება, რომელსაც უკვე ჰქვია "სამხრეთ კავკასიის რკინიგზა". ასე რომ, ეს ყველაფერი სერიოზული საფრთხეების შემცველია და ვისურვებდი, საქართველოს მთავრობას ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადაედგა.

- თქვენი აზრით, როგორ აისახება პოლიტიკურ ცხოვრებაზე წლევეანდელ ზაფხულს ხელისუფლების აქტიურობის შედეგები? და კიდევ, ფაქტია, რომ მოახლოებულ პოლიტიკურ შემოდგომას ხელისუფლება მომზადებული ხვდება, მაგრამ რას შეიძლება ველოდოთ საზოგადოებისგან და ოპოზიციის იმ ნაწილისაგან, რომელსაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხელისუფლების თამაშის წესები არ მიუღია?

- წლევეანდელ ზაფხულსაც ხელისუფლება ორგინალური არ ყოფილა – მან მსგავსი აგრესიული ნაბიჯები წინა წლების ზაფხულშიც გადადგა. ეს იმით აიხსნება, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ფრონტზე მოიგო, ხოლო ხალხი კი დაბეჩავებულია. "აგრესიული" ოპოზიციის იდეას ხელისუფლებამ 26 მაისს ძლიერი დარტყმა მიაყენა. ამიტომ ვთვლი, რომ, რაც "სახალხო კრებამ" გააკეთა, უდიდესი შეცდომა იყო. შექმნილ ვითარებაში ხელისუფლება მიიჩნევს, რომ აბსოლუტურად გამარჯვებულია. მან "რვიანიც" დაშალა და თავის ჭკუაზე, "ქრისტიან-დემოკრატების" გარდა, "ახლებიც" გადაიყვანა. სულ ცოტა ხნის წინ, ხელისუფლებამ მგზავრობის ღირებულება გაზარდა, მაგრამ ამას მოყვა რაიმე სერიოზული პროტესტი? ხელისუფლებამ დახურა სამეცნიერო ინსტიტუტები, რამოდენიმე კაცმა კი გააპროტესტა, მაგრამ ეს თემაც ჩაიფარცხა. დევნილების თბილისიდან გასახლების ხელისუფლების გეგმაც არ შეწყვეტილა და მიმდინარეობს. ამ მნიშვნელოვან თემებზე მცირედი ხმაურის გარდა, არაფერიც არ არის. აშკარაა, რომ ხელისუფლება თავს

გამარჯვებულად მიიჩნევს და საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. უკვე ვთქვი, რომ ხელისუფლება ბიუჯეტიდან სოციალური ხარჯების შემცირებასა და ამ ფინანსების არჩევნებზე გამოყენებას შეეცდება. ოპოზიციას ერთადერთი არჩევანია საქმიანობის გააქტიურება. არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი, მაგრამ თუ ბოლომდე გულახილი ვიქნები, უნდა ვთქვა, რომ ოპოზიციის რეალურ გააქტიურებასთან დაკავშირებით რატომღაც პესიმისტურად ვარ განწყობილი. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფინანსების სიმცირეა. ბიზნესი ხელისუფლების კონტროლქვეშაა და, ცხადია, რომ ბიზნესი არჩევნებზე სახელისუფლო პარტიასა და ხელისუფლებასთან ალიანსში მყოფ ე.წ. ოპოზიციას დააფინანსებს. ბიზნესმენებს არჩევნებზე "ექსიანის" დაფინანსება იმის გამო შეეშინდებათ, რომ "ექსიანი" ხელისუფლებისთვის ნამდვილად არასასურველი პოლიტიკური ძალაა. ამიტომ "ექსიანს" მოუწევს, როგორც შიდა ფრონტზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურება. დასავლეთმა უნდა დაინახოს, რომ "ექსიანის" სახით მოქმედი რეჟიმის ცივილიზებული ალტერნატივა არსებობს, რომლის გუნდში არიან პოლიტიკოსები და არა - ქუჩის "აქტივისტები" და, რომელთაც თავისი სიტყვა ეთქმით. შექმნილ ვითარებაში ოპტიმისტი იმის გამო ვერ ვიქნები, რომ საქართველო მხოლოდ და მხოლოდ უფლის ნებაზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, საქართველოში ქმედით ოპოზიციას, როგორც ხელისუფლების ალტერნატიულ ძალას, ამ ეტაპზე ვერ ვხედავ.

კობა ბენდელიანი
"ინტერპრესნიუსი"